

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 6

(სამუშაოს შესყიდვა)

ქალაქი ფოთი

„ 29“ იანვარი 2018 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1 ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (თვითმმართველი ერთეული) შემდეგში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის გოჩა კურდღელიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „გელმარი“ შემდეგში „მიმწოდებელი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის გულნარა კეკელიას სახით, ელექტრონული ტენდერის საშუალებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს - ქალაქ ფოთში, საახალწლო და სადღესასწაულო ქალაქგაფორმების დემონტაჟის სამუშაოები;

შესყიდვის კატეგორია - 45100000-სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები

კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 45111300 - დემონტაჟის სამუშაოები

სატენდერო განცხადების ნომერი №SPA180000475, 12.01.2018წ.

2.3 შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.4 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართ N1-ში ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს -13738,74 (ცამეტი ათას შვიდასოცდათვრამეტი ლარი და 74 თეთრი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა - ხელშეკრულების დადებიდან 2018 წლის 6 თებერვლის ჩათვლით.

4.2 მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან.

5. მიღება - ჩაბარების წესი

5.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის ხელმძღვანელი, რომელიც ხელს აწერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელით დადებული, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, ხელშეკრულების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებსა და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.

5.2 სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტებზე, ხელს აწერს, სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

5.3 სამუშაო ჩაითვლება შესრულებულად მხოლოდ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განსაზღვრული მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.4 შესყიდვის ობიექტის დასრულებისას, მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების მიღება-ჩაბარებისთვის შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, ფორმა N2, N3).

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების (გადარიცხვა) ფორმით ეროვნულ ვალუტაში - ლარებში.

6.2 ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.1.1 შესასრულებელი ან/და შესრულებელი სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7.1.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის ინფრასტრუქტურის, წყალანირებისა და მელიორაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტი თემურ ოდიშარია.

7.1.3 მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების დროული, ჯეროვანი და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 უზრუნველყოს, შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.2.2 წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს, რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.3.1 უზრუნველყოს, სამუშაოს შესრულება, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული კონუსური ფორმის, კარკასული კონსტრუქციის ნაძვის ხის (20 მ სიმაღლის) დემონტაჟი, ასევე მიმწოდებელმა უნდა

განახორციელოს ქალაქის ქუჩებზე გაფორმებული საახალწლო სათამაშოების და ელექტრო-მექანიკური მოწყობილობების დემონტაჟი, ტექნიკურ დავალებაში (დანართი N1) მოცემული რაოდენობების მიხედვით.

7.3.2 მოახდინოს არსებული ნაძვის ხის, საახალწლო სათამაშოების, ელექტრო-მექანიკური მოწყობილობების და სხვა მოსართავი საშუალებების დემონტაჟი, რომლებიც უნდა დახარისხდეს, შეიფუთოს სათანადო წესით და ჩალაგდეს ყუთებში. ამასთან, აღნიშნული ინვენტარი, შემსყიდველი ორგანიზაციასთან შეთანხმებით, მიმწოდებელმა უნდა დაასაწყობოს დანიშნულების ადგილზე.

7.3.3 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

7.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

8.3 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.5 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.6 მხარე ვალდებულია

8.5 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.7 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

9.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით;

9.3 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) პირგასამტეხლო განისაზღვრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

9.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს

უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.5 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრება შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 3%-ის ოდენობით.

9.6 თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების გამო შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, ამ შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ, საჯარიმო თანხის გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ ათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 28 მარტის ჩათვლით.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ორი – შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.2 შემსყიდველის მიერ დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაცია, გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.3 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით და შემსყიდველის მიერ დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაციით.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №12

ს/კ № 215138143

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
გოჩა კურდღელია



„მიმწოდებელი“

შპს „გელმარი“

ს/კ №215108087

მის: ქ. ფოთი, ჭანტურიას ქ. N2

სს „ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია“

ბ/კ UGEBGE22

ა/ნ GE92VT060000005303605

დირექტორი
გულნარა კეკელია



ქალაქ ფოთში, საახალწლო და სადღესასწაულო ქალაქგაფორმების დემონტაჟი

ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა)

№	სამუშაოს დასახელება	განზ.	რაოდ.	ერთ. ღირებ.	მთლიანი ღირებ.
1	2	3	4	5	6
დემონტაჟის სამუშაოები					
1	მანათობელი ლოლოს დემონტაჟი	კომპ	81		975,00
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	40	6	240,00
	ანძური ამწევი	მ/სთ	30	24,5	735,00
2	სტრინგის დემონტაჟი ნაძვის ხეზე	ცალი	132		760,00
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	45	6	270,00
	ანძური ამწევი	მ/სთ	20	24,5	490,00
3	მანათობლებზე და ნაძვის ხეზე არსებული ელ. სადენების დემონტაჟი	მ	550		1409,00
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	96	6	576,00
	ანძური ამწევი	მ/სთ	34	24,5	833,00
4	მანათობელი ფარდის დემონტაჟი	ცალი	58		395,00
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	25	6	150,00
	ანძური ამწევი	მ/სთ	10	24,5	245,00
5	მანათობელი მილის დემონტაჟი	კმ	0,734		547,50
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	30	6	180,00
	ანძური ამწევი	მ/სთ	15	24,5	367,50
6	მანათობელი ბურთის დემონტაჟი	კმ	30		341,00
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	16	6	96,00
	ანძური ამწევი	მ/სთ	10	24,5	245,00
7	მანათობელი ფიფქის (ლით. კონსტრუქციაზე) დემონტაჟი	კმ	120		942,50
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	55	6	330,00
	ანძური ამწევი	მ/სთ	25	24,5	612,50
8	მანათობელი ნაძვის (ნეონის მილით) დემონტაჟი	კმ	120		942,50
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	55	6	330,00
	ანძური ამწევი	მ/სთ	25	24,5	612,50
9	საახალწლო ფიგურა ირემის დემონტაჟი	კმ	4		42,50
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	3	6	18,00
	ანძური ამწევი	მ/სთ	1	24,5	24,50
10	ნაძვის ხისა და მასზე არსებული სხვადასხვა სახის სათამაშოების დემონტაჟი	ცალი	1		1672,50
	შრ. დანახარჯი	კ/სთ	95	6	570,00

	ანძური ამწევი	მ/სთ	45	24,5	1102,50
11	მანათობელი დეკორატიული ყვავილის დემონტაჟი	კალი	10		30,00
	შრ.დანახარჯი	კ/სთ	5	6	30,00
12	მანათობელი დეკორატიული ქოლგის დემონტაჟი	კალი	10		79,00
	შრ.დანახარჯი	კ/სთ	5	6	30,00
	ანძური ამწევი	მ/სთ	2	24,5	49,00
13	მანათობელი დეკორატიული ანგელოზის დემონტაჟი	კალი	7		18,00
	შრ.დანახარჯი	კ/სთ	3	6	18,00
14	მანათობელი დეკორატიული ბურთის დემონტაჟი	კალი	8		73,00
	შრ.დანახარჯი	კ/სთ	4	6	24,00
	ანძური ამწევი	მ/სთ	2	24,5	49,00
15	დეკორატიული ნაძვის ხის დემონტაჟი	კალი	9		30,00
	შრ.დანახარჯი	კ/სთ	5	6	30,00
16	ფარდა 2X3 ოქროსფერის დემონტაჟი	კალი	28		182,00
	შრ.დანახარჯი	კ/სთ	14	6	84,00
	ანძური ამწევი	მ/სთ	4	24,5	98,00
	ჯამი				8 439,50
	ტრანსპორტირების ხარჯები მასალებზე 2%				109,27
	ჯამი				8 548,77
	მათ შორის ხელფასი				2976,00
	ზედნადები ხარჯი ხელფასის	75%			2232,00
	ჯამი				10780,77
	გეგმიური დაგროვება	8%			862,46
	ჯამი				11643,00

„შემსყიდველი“

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
გოჩა კურდღელიძე



„მიმწოდებელი“

შპს „გელმარი“

დირექტორი
გულნარა კეკელიძე



ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქალაქი ფოთი

29 იანვარი 2018 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა საახალწლო და სადღესასწაულო ქალაქგაფორმების დემონტაჟის სამუშაოების შესყიდვის განხორციელებასთან, დაკავშირებულ საქმიანობაში (ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და ტექნიკური ზედამხედველობა) არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ, ქალაქ ფოთში, საახალწლო და სადღესასწაულო ქალაქგაფორმების შესყიდვის მიზნით, 2018 წლის 29 იანვარს გაფორმებული N6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირები:

მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის ინფრასტრუქტურის, წყალანირებისა და მელიორაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტი **თემურ ოდიშარია**

